სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესი

ცვლილება შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს
2024 წლის 02.03 ოქმი #2 გადაწყვეტილებით

ცვლილება შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს
2025 წლის 23.07 ოქმი #12 გადაწყვეტილებით

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მოქმედება

1.1 სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - "უნივერსიტეტი") მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესი (შემდგომში - "წესი") არეგულირებს უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოების დაკომპლექტებისა და დანიშვნის პროცედურებს და შესასრულებლად სავალდებულოა.

1.2 უნივერსიტეტის მმართველი სუბიექტები/კოლეგიური ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

1.3 უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტების მმართველი სუბიექტები/კოლეგიური ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

1.4 უნივერსიტეტში პირდაპირი, თანასწორი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომელიც კომპლექტდება და საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. არჩევნების ძირითადი პრინციპები

2.1 უნივერსიტეტში არჩევნების დანიშნულებაა უმაღლესი მმართველი ორგანოების/სუბიექტების დაკომპლექტება/არჩევა, რომელიც ხორციელდება პირდაპირი და თანასწორი პროცესების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2.2 უნივერსიტეტში არჩევნების მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანობის, საჯაროობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვა.

2.3 საარჩევნო პროცესი, საარჩევნო კომისიების საქმიანობა, არჩევნებისთვის გაწეული ხარჯი ღია და საჯაროა. დაუშვებელია ისეთი ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომელიც ზღუდავს არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა და ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებას ან არღვევს არჩევნების მონაწილეთა თანასწორობას.

2.4 დაუშვებელია რაიმე ნიშნით ამომრჩევლის ხმის უფლების შეზღუდვა და მის არჩევანზე ზემოქმედება, გარდა საარჩევნო აგიტაციის/კამპანიისა.

2.5 საარჩევნო აგიტაციის/კამპანიის მიმდინარეობის დროს საარჩევნო კანდიდატის მხრიდან დაუშვებელია იმგვარი განცხადებების გაკეთება ან/და იმგვარი კამპანიის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენტი კანდიდატის(ების) შეურაცხყოფას/დაკნინებას.

მუხლი 3. არჩევნების გამოცხადება

3.1 უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი კოლეგიური ორგანოების - აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრების არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის, ბრძანების საფუძველზე.

3.2 რექტორის ბრძანება არჩევნების დანიშვნის თაობაზე არის საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, რისთვისაც დასაშვებია ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით, მათ შორის, დასაშვებია საინფორმაციო ტექსტის განთავსება უნივერსიტეტში, თვალსაჩინო ადგილას.

3.3 რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო.

3.4 ფაკულტეტის დეკანის არჩევნებს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.

3.5 ამ დებულებით დადგენილი ყველა ვადა, მათ შორის, არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე, გულისხმობს კალენდარულ დღეებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით.

მუხლი 4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია

4.1 უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების მიზნით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომელიც აირჩევა 2 წლის ვადით.

4.2 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით:

- უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურიდან - 1 წევრი;
- უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობიდან - 1 წევრი;
- დრამის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან - 1 წევრი;
- კინო-ტელე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან - 1 წევრი;
- სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან - 1 წევრი.

4.3 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობას ბრძანების საფუძველზე ამტკიცებს რექტორი.

4.4 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ყველა გადაწყვეტილება
4.5 არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით და ეს გადაწყვეტილებები გააფორმოს შესაბამისი ოქმით.
4.6 ამომრჩეველთა რეგისტრაციაში გატარების უფლებამოსილება აქვთ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის ყველა წევრს.
4.7 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, აგრეთვე უნივერსიტეტის ან/და ფაკულტეტის მართვის ორგანოს წევრობის კანდიდატი, აგრეთვე პირი, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის მიმდინარე არჩევნებში/კონკურსებში კანდიდატის სტატუსით.
4.8 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არანაკლებ კომისიის წევრთა ნახევარი.
4.9 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებაში შედის:
ა) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების ტექნიკურ-საორგანიზაციო საკითხებთან;
ბ) შეუწყვიტოს უფლებამოსილება კომისიის წევრს მასზე დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებისას;
გ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ დებულებით გათვალისწინებულ მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე.
4.10 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისი შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4.11 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მდივნად აირჩევა კომისიის ნებისმიერი წევრი კომისიის პირველივე სხდომაზე, ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს, ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4.12 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

თავი II. მართვის ორგანოები და მათი არჩევის

პროცედურები მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა

5.1 წარმომადგენლობითი საბჭო აირჩევა ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ფაკულტეტებში მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური სწარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება 4 წლის ვადით, უნივერსიტეტის ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების

საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნით.აბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.

5.2

5.3სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

5.4წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 23 წევრით:

ა) დრამის ფაკულტეტიდან – 4 წევრი;

ბ) კინო-ტელე ფაკულტეტიდან – 4 წევრი;

გ) სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტიდან – 4 წევრი;

დ) სტუდენტები – 9 წევრი, სამი წარმომადგენელი თითო ფაკულტეტიდან.

ე) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი – 1 წევრი;

ვ) სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი – 1 წევრი.

5.5 წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

5.6 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად სტუდენტების არჩევას უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობა.

5.7 არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობს ხმის უფლების მქონე პირთა 1/3 მაინც, ცალ-ცალკე, როგორც აკადემიური, ისე სტუდენტების რაოდენობიდან.

5.8 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

5.9 დაუშვებელია უფლებამოსილებაშეწყვეტილი აკადემიური პერსონალის წევრის ნაცვლად არჩეულ იქნეს სტუდენტი და პირიქით.

5.10 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით.

მუხლი 6. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

6.1 წარმომადგენლობითი საბჭო ღია კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს სპიკერს და მდივანს. კენჭისყრას ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

6.2 წარმომადგენლობითი საბჭო საკუთარი წევრებიდან ფარული კენჭისყრით ირჩევს

6.3 წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს წარმომადგენლობითი

საბჭოს ნებისმიერ წევრს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში კენჭისყრა ტარდება თავიდან.

მუხლი 7. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

7.1 წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის სტუდენტების ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი.

7.2 აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ფაკულტეტის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი. იმ შემთხვევაში, თუ ასისტენტ-პროფესორი აგრეთვე არის დოქტორანტი, იგი არჩევნებში მონაწილეობას იღებს, როგორც აკადემიური პერსონალი.

7.3 წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

7.4 კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის ხარვეზი, რომელსაც შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 2 დღის ვადაში.

7.5 კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.

მუხლი 8. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა

8.1 წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას იწვევს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი.

8.2 ახლად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომაზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საბჭოს მოახსენებს არჩევნების შედეგებს და სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დამადასტურებელ საჭირო დოკუმენტაციას (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მისი მოწყობის სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების და სხვა საარჩევნო ინფორმაციის შესახებ).

8.3 სხდომის თავმჯდომარე სხდომის მონაწილეებს აცნობს სარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

8.4 წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურების თაობაზე საბჭოს გადაწყვეტილებაში შეიყვანება ყველა ის პირი, რომლის არჩევა კანონიერად ჩათვალა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ და დადასტურებულად მიიჩნია სხდომის მონაწილეთა სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.

8.5 თუ იმ პირთა რაოდენობა, რომლის უფლებამოსილებაც წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადასტურა, სრული შემადგენლობის ნახევარზე ნაკლებია, მაშინ სხდომა წყდება. ახლად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს მომდევნო სხდომას იწვევს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტის არჩევიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

9.1 აკადემიური საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით, ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

9.2 აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტი ფაკულტეტების მიხედვით.

9.3 აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით:

ა) რექტორი – აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) დრამის ფაკულტეტიდან – 3 წევრი;

გ) კინო-ტელე ფაკულტეტიდან – 3 წევრი;

დ) სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტიდან – 3 წევრი;

ე) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან – 1 წევრი.

9.4 აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

9.5 კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის ხარვეზები, რომელსაც შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 2 დღის ვადაში.

9.6 კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.

9.10 აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

ა) უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;

ბ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

გ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

9.11 აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარება და უფლებამოსილების ცნობა

10.1 ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში, არჩეულ წევრთა უფლებამოსილების დადასტურება ხდება იმავე მოთხოვნების დაცვით, რაც დადგენილია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის.

10.2 აკადემიური საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

მუხლი 11. რექტორის არჩევნები

11.1 რექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით, 4 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადისა. პრეტენდენტი, რომელიც ამავდროულად იკავებს რექტორის თანამდებობას, ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს.

11.2 რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. განცხადება უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და კანდიდატების რეგისტრაციის შეწყვეტამდე განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. კანდიდატების რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 კვირისა. რექტორის არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

11.3 რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას. პრეტენდენტი, რომელიც ამავდროულად იკავებს რექტორის თანამდებობას, ამ პუნქტით გათვალისწინებულ შეფასებაში არ მონაწილეობს.

11.4 პირმა, რომელსაც ეკავა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

11.5 რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დამატებით რომელიმე საინფორმაციო წყაროს საშუალებით.

11.6 რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და გააჩნია შემოქმედებით ან სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება.

11.7 რექტორობის კანდიდატმა რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ფოტოსურათით;

გ) სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმეტი;

ე) სახელოვნებო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია.

11.8 ამ მუხლით გათვალისწინებული კანდიდატების რეგისტრაციას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

11.9 კანდიდატურის რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით დასაბუთებული.

11.10 რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება ის ხარვეზი, რომელსაც შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია 2 დღის ვადაში.

11.11 კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

11.12 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე რექტორის ვერარჩევის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

11.13 იმ შემთხვევაში თუ არჩევნებში თუ ვერც ერთმა პრედენდენტმა ვერ დააგროვა ხმათა უმრავლესობა, იმავე დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრედენდენტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

11.14 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი:

11.15 რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

11.16 რექტორის მოვალეობის შემსრულებელს რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში არაუმეტეს 6 თვის ვადით, ახლადარჩეული რექტორის უფლებამოსილების ცნობამდე, ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური ან სამეცნიერო

თანამდებობის მქონე ყველა პირი, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

11.17 არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

11.18 კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების უფრო მეტ ოდენობას. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, სამი სამუშაო დღის ვადაში გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. ხმების თანაბრობის შემთხვევაში ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

11.19 მეორე ტური გაიმართება იმავე წესით, მასში გამარჯვებულად გამოცხადდება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების უფრო მეტ ოდენობას.

11.20 არჩევნების მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3 –ისა. თუ მეორე ტურში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მაშინ არჩევნები ცხადდება თავიდან იმავე წესით.

11.21 არჩევნების შედეგებს, აქვეყნებს უნივერსიტეტის საარჩევნო კოლეგია.

11.22 კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების და დამთავრების თარიღს და სხვა პირობებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის საარჩევნო კოლეგია.

მუხლი 12. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები

12.1 ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ და მისი უფლებამოსილების ჯამური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 8 წელს.

12.2 ერთი და იმავე პირის კანდიდატურა აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში აკადემიური საბჭო წარადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას.

12.3 ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 10 დღე. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 3 და არაუმეტეს 10 დღის ვადაში.

12.4 ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატმა რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ფოტოსურათით;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) უნივერსიტეტის განვითარების საკუთარი „პროგრამა“ და „სამოქმედო გეგმა“.

.12.5 აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს დასამტკიცებლად

მუხლი 13. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატის დამტკიცება
წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

13.1 წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატურის წარდგენიდან 10 დღის ვადაში ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

13.2 ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

13.3 წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიურმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს ერთი კვირის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოში ახალი ან იგივე კანდიდატურის წარდგენა.

13.4 წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი და იმავე კანდიდატურის ზედიზედ ორჯერ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო წარუდგენს სხვა კანდიდატურას.

13.5 ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან არჩეული კანდიდატურის დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში,უფლებამოსილების შეწყვეტიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში არაუმეტეს 6 თვის ვადით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს, ახლადარჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევამდე, უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 14. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა

14.1 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აქვეყნებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 15 დღით ადრე. კანდიდატების რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 10 დღე, რის შემდეგადაც იმართება არჩევნები.

14.2 აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

14.3 წარმომადგენლობითი საბჭო კანდიდატურის წარდგენიდან 10 დღის ვადაში ფარული კენჭისყრით ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

14.4 ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

14.5 წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიურმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს ერთი კვირის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოში ახალი ან იგივე კანდიდატურის წარდგენა.

14.6 ერთი და იმავე პირის კანდიდატურა აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში აკადემიური საბჭო წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას. უნივერსიტეტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო, თავისი გადაწყვეტილებით.

14.7 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებში მონაწილე კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სამეცნიერო ხარისხი;

ბ)უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

გ) უმაღლეს სასწავლებელშიაკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება;

დ) უცხო ენის ცოდნა /პრიორიტეტი მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას;/

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

14.8. არჩევნებში მონაწილე კანდიდატმა აკადემიურ საბჭოს უნდა წარუდგინოს საკუთარი „პროგრამა“ და „სამოქმედო გეგმა“.

14.9 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან არჩეული კანდიდატურის დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში,უფლებამოსილების შეწყვეტიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში არაუმეტეს 6 თვის ვადით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ახლადარჩეული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევამდე, უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 15. ფაკულტეტის საბჭო და მისი ფორმირება

15.1 ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

15.2 ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

მუხლი 16. ფაკულტეტის დეკანის თანმდებობის დაკავების წესი

16.1 ფაკულტეტის დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

16.2 დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. კანდიდატების რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 10 დღე, რის შემდეგადაც იმართება კენჭისყრა. კანდიდატთა რეგისტრაციისა და კენჭისყრის თარიღს ადგენს ფაკულტეტის საბჭო.

16.3 დეკანად შეიძლება აირჩეს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან პირი, რომელსაც გააჩნია ფაკულტეტის მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება.

16.4 დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან არჩეული კანდიდატურის დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, დეკანის კანდიდატურის ხელახალ არჩევამდე, მაგრამ არაუმეტეს 3 თვის ვადით, ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

16.5 ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. თუ ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ მიიღო ხმების ნახევარზე მეტი, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებული დეკანის გამოვლენამდე. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, არაუგვიანეს 5 დღისა ინიშნება ახალი არჩევნები.

16.6 . არჩევნებში მონაწილე კანდიდატმა ფაკულტეტის საბჭოს უნდა წარუდგინოს საკუთარი „პროგრამა“ და „სამოქმედო გეგმა“.

მუხლი 17. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები

17.1 ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

17.2 ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აქვეყნებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე. კანდიდატების რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 10 დღე, რის შემდეგაც იმართება არჩევნები.

17.3 ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. თუ

ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ მიიღო ხმების ნახევარზე მეტი, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის გამოვლენამდე. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა, არაუგვიანეს 5 დღისა ინიშნება ახალი არჩევნები.

17.4 ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

17.5 არჩევნებში მონაწილე კანდიდატმა ფაკულტეტის საბჭოს უნდა წარუდგინოს საკუთარი „პროგრამა“ და „სამოქმედო გეგმა“.

თავი III. ლეგიტიმური საარჩევნო პროცედურები

მუხლი 18. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

18.1 მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.

18.2 მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატებს, ფაკულტეტის ამომრჩევლებს უფლება აქვთ გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად.

18.3 არჩევნების დღეს იკრძალება საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

18.4 წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.

18.5 წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე, კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.

18.6 წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში ან ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ქონებას. ასეთის არსებობის შემთხვევაში საარჩევნო კომისია ვალდებულია კანდიდატი მოხსნას რეგისტრაციიდან;

18.7 უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არ აქვს დაუსაბუთებელი უარი უთხრას წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებითა და დარბაზებით

სარგებლობისათვის. ყველა კანდიდატისათვის უნივერსიტეტის ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი.

18.8 ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული უარი არის წერილობითი ფორმის და მისი მიღებიდან ორი დღის ვადაში საჩივრდება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 3 დღის ვადაში.

მუხლი 19. საარჩევნო სიები

19.1 საარჩევნო სიებს ადგენს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

19.2 აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის დგება ერთიანი საარჩევნო სიები.

19.3 ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეიტანება ამომრჩევლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

19.4 დაუშვებელია ერთი და იმავე პირის მონაცემების რამდენიმე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში ან იმავე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეტანა.

მუხლი 20. საარჩევნო ბიულეტინი

20.1 ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტინზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

20.2 საარჩევნო ბიულეტინები იბეჭდება უნივერსიტეტის მიერ, რომელზედაც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

20.3 საარჩევნო ბიულეტინზე აღინიშნება:

ა) უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის სახელწოდება;

ბ) აღნიშნვა იმის შესახებ, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვის არის განკუთვნილი;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.

20.4 საარჩევნო ბიულეტინი გაიცემა პირზე პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 21. საარჩევნო ყუთი

21.1 უნივერსიტეტი არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო ყუთებით საარჩევნო კომისიების აღჭურვას. თითოეულ საარჩევნო კომისიას გადაეცემა საარჩევნო ყუთი.

21.2 საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვისაა განკუთვნილი

21.3 საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთერთი საშუალებაა.

21.4 საკონტროლო ფურცელი დგება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება შესაბამისი ფაკულტეტის და პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.

21.5 თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

21.6 თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებულ საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

მუხლი 22. არჩევნების ორგანიზება

22.1 არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.

22.2 უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფას.

22.3 უნივერსიტეტის და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიები მუშაობას იწყებენ არჩევნების დღეს დილის 09:00 საათზე. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს, დილის 10:00 საათზე.

22.4 ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრები არჩევნების დღეს დილის 10:00 საათამდე წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს. წილისყრის შედეგად გამოვლენილ უნდა იქნეს:

ა) რეგისტრატორები;

ბ) საარჩევნო ბიულეტინზე ხელმომწერი;

გ) ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი.

22.5 ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ იღებს მონაწილეობას წილისყრაში.

მუხლი 23. არჩევნების პროცედურა

23.1 კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში და შემოხაზავს მისთვის სასურველ არაუმეტეს იმდენ კანდიდატს, რამდენი პირის არჩევაც ხდება ასარჩევ ორგანოში. საარჩევნო ბიულეტენი, შევსების შემდეგ, ამომრჩეველმა ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს ვის მისცა ხმა. დაკეცილ საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩეველი ათავსებს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან. დაუშვებელია ოთახში სამზე მეტი ამომრჩეველის ერთდროულად ყოფნა.

23.2 კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა იქნება დაცული.

მუხლი 24. არჩევნების შედეგების შეჯამება

24.1 კენჭისყრა მთავრდება არჩევნების დღეს 17:00 საათზე, ან მანამდე, თუ ყველა ამომრჩეველი მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში.

24.2 კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, რაც

ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

24.3 არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა 1/3 მაინც, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

24.4 არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.

24.5 საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და წრიულად შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

24.6 საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) საარჩევნო ბიულეტენზე არ აღმოჩნდა ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა; ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია ასარჩევ პირთა რაოდენობაზე მეტი კანდიდატურა.

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

ე) მასზე არ არის მითითებული იმ ფაკულტეტის სახელწოდება, რომელზეც ტარდება არჩევნები.

24.7 ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ფაკულტეტის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 25. საარჩევნო დამკვირვებელი

25.1 უნივერსიტეტში არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 1 დღით ადრე მიმართონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

25.2 იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

25.3 პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) უნივერსიტეტის მართვის ორგანოში ასარჩევი კანდიდატი;

ბ) იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.

25.4 დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრების განხილვის პროცესში.

25.5 დამკვირვებელი უფლებამოსილია:

ა) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მიერ ამ პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი;

გ) წარადგინოს საჩივარი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში.

25.6 დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

25.7 საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

მუხლი 26. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი.

ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;

ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა, ან აღნიშვნა მის მიერ ხელმოწერაზე უარის შესახებ;

ვ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას) და მათი ხელმოწერები;

ზ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

თ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 27. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.

მუხლი 28. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

28.1 არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ სამი დღის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით განსაზღვრული წესის დარღვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

28.2 საჩივრის დასაშვებად ცნობისთვის, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ სტანდარტს და შესაბამისად შეიცავდეს შემდეგს:

ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი.

ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ვ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.

28.3 საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

28.4 უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

28.5 არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ ბრძანებით დადგენილი წესის ან/და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.

მუხლი 29. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

29.1 არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსებით. არჩევნების შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკვრება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.

29.2 არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.